

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის
ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის
სამსახური

2800

ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. #37

ტელ: 599 76 40 70

N 682

02/06/2016

682-09-3-201606021558



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს
ბატონ ზაზა ურუშაძეს

ბატონო ზაზა,

როგორც მოგახსენებთ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის N964 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამოეყო 850000 (რვასორმოცდაათი ათასი) ლარი.

შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადების შემდეგ გამოყოფილი თანხა განაწილდა შემდეგნაირად

1. გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია _ 351156 (სამასორმოცდათერთმეტიათას ას ორმოცდათექვსმეტი)
2. ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები _ 498844 (ოთხასოთხმოცდათვრამეტიათას რვას ორმოცდაოთხი) ლარი.

ლევან ჩხაიძე

სამსახურის უფროსი

ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№964 2016 წლის 27 მაისი ქ. თბილისი

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების
განხორციელების თაობაზე

1. 2015-2016 წლებში მომხდარი სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს გამოუყოს 4 521 900 (ოთხი მილიონ ხუთას ოცდაერთი ათას ცხრაასი) ლარი, მათ შორის:

ა) დუშეთის მუნიციპალიტეტს 1 400 000 (ერთი მილიონ ოთხასი ათასი) ლარი;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს 850 000 (რვაას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

გ) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს 550 000 (ხუთას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

დ) ცაგერის მუნიციპალიტეტს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი;

ე) მესტიის მუნიციპალიტეტს 343 400 (სამას ორმოცდასამი ათას ოთხასი) ლარი;

ვ) სენაკის მუნიციპალიტეტს 254 000 (ორას ორმოცდაათოთხმეტი ათასი) ლარი;

ზ) თერჯოლის მუნიციპალიტეტს 190 000 (ას ოთხმოცდაათი ათასი) ლარი;

თ) ადიგენის მუნიციპალიტეტს 174 500 (ას სამოცდაათოთხმეტი ათას ხუთასი) ლარი;

ი) გურჯაანის მუნიციპალიტეტს 160 000 (ას სამოცი ათასი) ლარი;

კ) თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი;

ლ) ლენტეხის მუნიციპალიტეტს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი.

2. ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მიეცეთ უფლება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, 2015 წლის პირველ იანვრამდე, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტებით სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ფარგლებში დარჩენილი თავისუფალი რესურსი მიმართონ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად.

3. ადგილობრივმა თვითმმართველმა ერთეულებმა უზრუნველყონ ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რესურსიდან გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის წარდგენა.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი